5301-15-4-2-202005280929

N 15-4/5301
28/05/2020

საქართველოს იუსტიციის მინისტრს
ქალბატონ თეა წულუკიანს

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა

მსჯავრდებულ [redacted] პირობით ვადამდე გათავისუფლებისათვის აუცილებლად მოსახდელი სასჯელის ვადების არასწორ გამოთვლასთან დაკავშირებით

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული რეაგირების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

ქალბატონო თეა,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა N16 პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულის [redacted] (დაბადებული [redacted]) საქმე. მსჯავრდებული აცხადებდა, რომ სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა არასწორად გამოითვალა მისი პირობით ვადამდე გათავისუფლების მოთხოვნისთვის აუცილებლად მოსახდელი სასჯელის ვადა.

ფაქტობრივი გარემოებები

N16 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 24 მარტის № 83437/31 წერილით სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ N16 პენიტენციური დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულ [redacted] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, პირობით ვადამდე გათავისუფლების მოთხოვნამდე აუცილებლად მოსახდელი სასჯელის ვადა, მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, უსრულდება 2021 წლის 12 თებერვალს.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შესწავლილ იქნა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 6 თებერვლის განჩინება საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დეპარტამენტის პირველი მოადგილის შუამდგომლობით, მსჯავრდებულ [redacted] მიმართ არსებული რამდენიმე განაჩენის მიხედვით, სასჯელის განსაზღვრის შესახებ, საიდანაც ირკვევა შემდეგი გარემოებები:

[redacted] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 14 ივლისის განაჩენით ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა"

ქვეპუნქტით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 (რვა) წლის ვადით. ამასთან, მსჯავრდებულს სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო ფაქტობრივი დაკავების მომენტიდან - 2017 წლის 18 თებერვლიდან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 18 დეკემბრის განაჩენით ცვლილება შევიდა აღნიშნულ განაჩენში და [redacted] სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 (შვიდი) წლის ვადით, საიდანაც სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის საფუძველზე 5 (ხუთი) წელი განესაზღვრა პენიტენციური დეპარტამენტის შესაბამის დაწესებულებაში მოხდით, ხოლო 2 (ორი) წელი - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ჩაეთვალა პირობითად და ამავე კოდექსის 64-ე მუხლის საფუძველზე გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 2 (ორი) წელი.

აგრეთვე, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 19 სექტემბრის განაჩენით [redacted] ცნობილი იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 (სამი) წლის ვადით.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 6 თებერვლის განჩინებით მსჯავრდებულ [redacted] მიმართ საბოლოო სასჯელის განსაზღვრისას უფრო მკაცრმა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 18 დეკემბრის განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 19 სექტემბრის განაჩენით დანიშნული სასჯელი.

<u>საბოლოოდ, [redacted] განაჩენთა ერთობლიობით, განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 (შვიდი) წლის ვადით, საიდანაც 5 (ხუთი) წელი განესაზღვრა პენიტენციური დეპარტამენტის შესაბამის დაწესებულებაში მოხდით,</u> ხოლო 2 (ორი) წელი, ჩაეთვალა პირობითად და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 2 (ორი) წელი.

ამასთან, ამავე განჩინებით, მსჯავრდებულ [redacted] განაჩენთა ერთობლიობისას დანიშნული სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო მოცემული განჩინების მიღების დღიდან - 2018 წლის 6 თებერვლიდან. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის პერიოდი 2016 წლის 29 დეკემბრიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით (3 დღე) და სასჯელი, რომელიც მას მოხდილი ჰქონდა განჩინების მიღების მომენტისათვის - 2017 წლის 18 თებერვლიდან 2018 წლის 6 თებერვლამდე (353 დღე).

ამრიგად, მსჯავრდებულ [redacted] რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 6 თებერვლის განჩინების თანახმად, პენიტენციურ დაწესებულებაში მოსახდელი აქვს სასჯელის სახით <u>თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით,</u> ხოლო სასჯელის მოხდის ვადაში <u>ჩათვლილი აქვს ჯამში 356 (სამას ორმოცდათექვსმეტი) დღე.</u>

სამართლებრივი დასაბუთება

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა წარმოდგენილი ინფორმაცია და გამოარკვია, რომ [redacted] მიმართ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისათვის კანონით დადგენილი ვადა არასწორად არის გამოთვლილი.

საქართველოს პატიმრობის კოდექსის თანახმად, სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისათვის კანონით დადგენილი ვადის მოხდის შემდგომ, ადმინისტრაცია საბჭოს დაუყონებლივ წარუდგენს შესაბამის შუამდგომლობას, რაც ეცნობება მსჯავრდებულს.[1]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, პირობით ვადამდე გათავისუფლება შეიძლება მაშინ, თუ მსჯავრდებულმა ფაქტობრივად მოიხადა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ სამი მეოთხედი.[2]

[redacted] მიერ ჩადენილი ერთ-ერთი დანაშაული[3] სწორედ განსაკუთრებით მძიმე კატეგორიას მიეკუთვნება. შესაბამისად, იგი პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმში ჩართვას უნდა დაექვემდებაროს მისთვის დანიშნული სასჯელის (5 წლის) არანაკლებ სამი მეოთხედის - **3 წლისა და 9 თვის** - ფაქტობრივად მოხდის შემდეგ.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 6 თებერვლის განჩინების თანახმად, მსჯავრდებულს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო 2018 წლის 6 თებერვლიდან. შესაბამისად, [redacted] პირობით ვადამდე გათავისუფლების მოთხოვნის უფლება უნდა მინიჭებოდა აღნიშნული თარიღიდან დანიშნული სასჯელის სამი მეოთხედის - 3 წლისა და 9 თვის გასვლის შემდგომ. ამრიგად, მსჯავრდებულს დანიშნული სასჯელის შესაბამისი მოხდილი ექნებოდა **2021 წლის 6 ნოემბერს**.

თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ მსჯავრდებულ [redacted] მოხდილად ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის პერიოდი, ჯამში 356 (სამას ორმოცდათექვსმეტი) კალენდარული დღის ოდენობით. შესაბამისად, მისი პირობით ვადამდე გათავისუფლების მომენტი უნდა დადგეს 2021 წლის 6 ნოემბრამდე 356 (სამას ორმოცდათექვსმეტი) დღით ადრე, ანუ **2020 წლის 15 ნოემბერს.**

საგულისხმოა, რომ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის თანახმად, „სასჯელის მოხდის დაწყებისთანავე პატიმრებისთვის ცნობილი უნდა იყოს, როდის შეეძლებათ გათავისუფლების თხოვნით მიმართვა მას შემდეგ, რაც მოიხდიან მინიმალურ ვადას (რომელიც პირდაპირ განსაზღვრულია და/ან მითითებულია სასჯელის პროპორცია) და ის კრიტერიუმები, რომლებიც გამოიყენება გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას („დისკრეციული გათავისუფლების სისტემა"), ან როდის მიენიჭებათ გათავისუფლების უფლება, დადგენილი პერიოდის კონკრეტულ პირობებში მოხდის ან/და სასჯელის პროპორციაზე მითითების შედეგად („სავალდებულო გათავისუფლების სისტემა")".[4]

შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისთვის კანონით დადგენილი ვადის გამოანგარიშება მოხდეს სწორად, რათა კანონმდებლობით გათვალისწინებული ხსენებული შეღავათის მსჯავრდებულის მიმართ გამოყენების შემთხვევაში, ამ უკანასკნელმა პენიტენციურ დაწესებულებაში არ გაატაროს მისთვის

---

[1] საქართველოს პატიმრობის კოდექსის 42-ე მუხლის პირველი ნაწილი.

[2] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ" ქვეპუნქტი.

[3] სსკ-ის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული: ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განსაკუთრებით დიდი ოდენობით, სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით რვიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას.

[4] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2003)22 წევრი ქვეყნებისადმი პირობით გათავისუფლების შესახებ (ვადამდე გათავისუფლება), Rec(2003)22 რეკომენდაციის დანართი, მე-5 პარაგრაფი, ხელმისაწვდომია < https://rm.coe.int/16800ccb5d > [ბოლოს ნანახია 06.06.2020].

დადგენილ ვადაზე მეტი. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ მსჯავრდებულს გააჩნდეს ლეგიტიმური მოლოდინი, თუ როდის უნდა მოხდეს კომპეტენტური სახელმწიფო უწყების მიერ მისი საქმის განხილვა და მოემზადოს აღნიშნულისთვის.

დასკვნა

შესაბამისად, მსჯავრდებულ [redacted] სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების კანონით დადგენილი ვადის გამოანგარიშებისას მნიშვნელოვანი ხარვეზი გამოიკვეთა, რამაც შესაძლოა, თავის მხრივ გამოიწვიოს მსჯავრდებულის უფლებების არსებითი შელახვა სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების პროცესში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ წინადადებით, რათა მსჯავრდებულ [redacted] სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობა შესაბამის ადგილობრივ საბჭოში კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში - 2020 წლის 15 ნოემბერს - იქნეს გადაგზავნილი.

ამასთან, გთხოვთ, მაცნობოთ მოცემული წინადადების განხილვის შედეგები „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

დანართი: 5 (ხუთი) ფურცელი.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი

.